

დალი სილაბაძე

ბიზნესის მართვის დოქტორი,
აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

კოოპერატივები აბროზიზმში

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განცხადებით, კოოპერატივების განვითარება უზრუნველყოფს მდგრად განვითარებას.

საბაზრო ეკონომიკაზე ქვეყნის გადასვლამ შეაფერხა სოფლად ახალი ტიპის სა-სოფლო-სამეურნეო საწარმოების, მ.შ. ფერმერული მეურნეობების ფორმირება და ფუნ-ქციონირება, ადგილობრივი რესურსული (საწარმოო) პოტენციალის უდანაკარგო და ეფექტური გამოყენება, გაძნელდა მათთვის სწორი საწარმოო მიმართულების მიცემა, რაც უზრუნველყოფდა მდგრად განვითარებას.

ამჟამად, საქართველოს წინაშე ბევრი მწვავე, აქტუალური და სტრატეგიულ-პრიორი-იტეტული პრობლემა დგას, რომელთა გადაწყვეტამ დადებითი გავლენა უნდა მოახდინოს წარმოების ეკონომიკურ ზრდაზე.

აუცილებელია ძლიერი ეკონომიკური ბაზა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შემდგომი სრულყოფისათვის. უნდა მომზადდეს მეცნიერულ-ეკონომიკური საფუძვლები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, ინტეგრირებული და მინი ინტეგრირებული საწარმოების დაფუძნებისა და მათი მაშტაბების თანდათანობით გაფართოების თვალსაზრისით, სასურსათო ბაზრის სწორი ფორმირებისა და განვითარებისათვის.

ამრიგად, ჩვენ მიზნად დავისახეთ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებიდან კოოპერატივების შესწავლა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კოოპერატივი სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებიდან განსხვავდება ერთი მნიშვნელოვანი თვისებით. კოოპერატივი ყოველთვის წარმოადგენს პირების გაერთიანებას და არა კაპიტალის გაერთიანებას, რომლის მიზანია არა მოგების მიღება, არამედ კოოპერატივის წევრების მატერიალური და სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილება. აქედან წარმოიქმნება მისი ფუნქციონირების ორი ძირითადი პრინციპი: ინტერესთა პრიორიტეტი და მმართველობა დემოკრატიის პრინციპით.

სოფლის მეურნეობის სექტორში არჩევენ ორი სახის კოოპერატივს: სასოფლო-სამეურნეო საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო სამომხმარებლო კოოპერატივებს. პირველი მიეკუთვნება კომერციულ ორგანიზაციას, მეორე – არაკომერციულ ორგანიზაციას.

საწარმოო კოოპერატივები სოფლის მეურნეობაში წარმოადგენენ წარმოების ისეთ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რომლებიც შექმნილია მიწის კოლექტიური ან კოლექტიურ-წილობრივი საკუთრების საფუძველზე.

საწარმოო კოოპერატივები საერთოდ და კერძოდ, სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ხანგრძლივი ისტორიის ორგანიზაციული ფორმაა, დაწყებული მიწის ერთად დამმუშავებელი ამხანაგობებით, დამთავრებული კოლექტიური მეურნეობებით (კოლმეურნეობებით).

2010 წლის მდგომარეობით, საქართველოს სოფლის მეურნეობაში ფუნქციონირებდა 97 კოოპერატივი.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების, როგორც წარმოების ორგანიზაციულ-სა-

მართლებრივი ფორმის განვითარების შესაძლებლობების და პერსპექტივების ნათელ მაგალითად გამოდგება ისრაელის სოფლის მეურნეობა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი მაღალინტენსიური დარგია (ჩვენგან განსხვავებით ისრაელს არ აქვს ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობები). იგი ეფუძნება სოფლის მეურნეობის გაძლიერების კოოპერატივებისა და ე.წ. კომუნების (კიბუცები) ორგანიზაციულ ფორმებს. სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების წევრი შეიძლება იყოს მიწისა და ქონების ყველა მფლობელი, რომელიც თავისი წილობრივი შენატანების ნებაყოფლობით გაერთიანებით გამოთქვამს სურვილს კოლექტიური წარმოების განვითარების შესახებ. ეს წილი შეადგენს კოოპერატივში თავდაპირველ საპაიო შენატანს. შემდგომ ეტაპზე კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, შემოსავლების კვალობაზე, თავდაპირველი საპაიო შენატანები თანდათანობით იზრდება. გამომდინარე აქედან, საწარმოო კოოპერატივების ქონება შედგება: პირველი – საწყისი საპაიო შენატანებისაგან და მეორე – შემოსავლებიდან, გადარიცხვებიდან შექმნილი მზარდი კაპიტალით და განუყოფელი ფონდით.

განუყოფელი ფონდი, ანუ საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კოოპერატივის წევრების ერთობლივ, საერთო საკუთრებას და ნატურით განაწილებას არ ექვემდებარება. თუ კოოპერატივის წევრი თავისი სურვილით გადის კოოპერატივიდან, მას შეიძლება მიეცეს წილი ნატურით ან ფულადი კომპენსაციის სახით. კოოპერატივის ჩამოყალიბება, წესდების და მისი საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შექმნა, სამეურნეო აქტების შექმნა, სამეურნეო საქმიანობის წარმართვა, მისი რეგისტრაცია, ურთიერთობა ბიუჯეტთან გადასახადების მიხედვით, რეგისტრაცია და სხვა ურთიერთობა ხორციელდება ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე (ამჟამად მიმდინარეობს წესდებაში ცვლილებების შეტანა).

სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების ჩამოყალიბება ხდება დამფუძნებელთა კრების მიერ, რომელიც ამტკიცებს წესდებას, ირჩევს ხელმძღვანელ ორგანოებს, ამტკიცებს შენატანებისა და საპაიო კაპიტალის ფორმირების წესს. მას გააჩნია იურიდიული პირის სტატუსი და ყველა ის ატრიბუტი (დერბიანი ბუჭედი, დერბიანი შტამპი და სხვა), რაც აუცილებელია კერძო სამართლის იურიდიული პირის უფლებით შექმნილი საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის სამართლებრივ ჭრილში.

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა რამდენად მოგებიანი იქნება კოოპერატივების შექმნა აგრარულ სექტორში, რა პრობლემები აქვთ არსებულ კოოპერატივებს და როგორ შეიძლება მათი გადაჭრა. ამდენად, შევეჩეთ იმერეთში, კერძოდ, წყალტუბოში, სოფ. მაღლაკში არსებულ კოოპერატივს „დოვლათი“.

იმერეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილური განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს გადამუშავებელი მრეწველობის რეაბილიტაცია, რომელიც ადგილობრივი წარმოების ნედლეულით მაღალი ხარისხის, მსოფლიო სტანდარტებით დაფასოებულ-გაფორმებულ პროდუქციას გამოუშვებს. დარგის საწარმოების პრივატიზაციამ გამოიწვია ძირითადი საქმიანობის პროფილის შეცვლა, ან ფუნქციონირების შეწყვეტა. უკეთეს შემთხვევაში მსხვილ საწარმოთა ადგილზე მცირე მოცულობის ფირმები ჩამოყალიბდა და ამან შექმნა ჩვენი სასურსათო ბაზრის იმპორტული პროდუქტებით გაჯერების პირობები.

ამდენად, დღეს არა მარტო აღნიშნულ რეაბილიტაციაზეა ძალისხმევა საჭირო, არამედ ახლის აშენება-ამოქმედებაზე, რომლებიც ადჭურვილნი იქნებიან პროგრესული ტექნოლოგიებით, შეძლებენ სოფლის მეურნეობიდან მიწოდებული ნედლეულის რაციონალურად გამოყენებას, პროდუქციის ასორტიმენტის დახვეწას და გაფორმებას ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

რაც შეეხება მაღლაკში არსებულ კოოპერატივ „დოვლათს“, იგი გაიხსნა ეკონომიკური განვითარების პროექტის ჩარჩოებში. პროექტს ახორციელებს არაკომერციული ორგანიზაცია PIN-ი (People in Need – „ადამიანი გაჭირვებაში“), ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით. კოოპერატივს ყავს თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე. დაფუძნდა 2010 წელს, სულ ექვსი დამფუძნებელია. რეგისტრირებულია ცამეტი მეპაიე, ათი განცხადებაა შემოსული, რომლებიც ჯერ რეესტრში არაა დარეგისტრირებული. აქვთ ძირითადი შენობა 150 მ², რომელიც PIN-ის დახმარებით და საკუთარი სახსრებით ააშენეს (მათი დაფინანსება 60%, ხოლო დამფუძნებლების 40%, მისცეს 53000 ლარი და 20000 დაამატეს). შენობა ააგეს სასოფლო-სამეურნეო მიწაზე (1000 მ²), რომელიც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებაში გადაიყვანეს. იხდიან მიწის გადასახადს. შენობაში 60 მ²-ზე არის 2 სამაცივრე ოთახი (30-30 მ²), 2 კამერა მაცივარი ყინულის შესანახად, აქვთ ავტომანქანა რაფი, ასევე დიზელ-გენერატორი.

კოოპერატიული მეურნეობა არ არის ორიენტირებული მოგებაზე, ახდენს მეპაიეებისა და სხვა მოსახლეობისაგან მწვანე მდეობას (ოხრახუში, ცერეცო, მწვანე ხახვი), შეფუთვას, შენახვასა და რეალიზაციას. რეალიზაცია ხორციელდება ძირითადად ადგილობრივ დისტრიბუტორებზე და თბილისის ბაზარზე ნდობით აღჭურვილი პირის მიერ (ერთ-ერთი დამფუძნებელი).

გლეხისათვის (ფერმერისათვის) **მოსახერხებელია**, რადგან კოოპერატივი ღებულობს ნებისმიერი რაოდენობის ნედლეულს (50 კგ., 100 კგ. და ა.შ.). რა ფასშიც იყიდება ბაზარზე – მას აკლდება ელექტროენერჯის და სამუშაო ძალის ხარჯი და დანარჩენი გლეხს რჩება (სხვები მათ თხოვენ მთლიანად ცერეცოს აღებას მცირე დროში და ამიტომ გლეხი (ფერმერი) ქირაობს 10-15 მუშას, რადგან ოჯახი ვერ ასწრებს აღებას, ეს კი დიდი ხარჯია მისთვის).

კოოპერატივი მუშაობს დეკემბრის, იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის თვეებში.

კოოპერატივში სცადეს კარალიოკის და ვაშლის შენახვა, მაგრამ დიდი ხარჯები მოითხოვა (ოქტომბრიდან იროვებოდა მაცივრები) და არარენტაბელური გამოდგა.

რომ არ გაცდეს დანარჩენი 7 თვე, პერსპექტივაში აქვთ დაჩირვა (პომიდორი, ნესვი, საზამთრო და მწვანელი) ინფრაწითელი სხივებით, მაგრამ ამისათვის მათ სჭირდებათ სახელმწიფოდან იაფი კრედიტის აღება.

დამფუძნებლები ძირითადად გლეხებთან მუშაობენ და კარგად იციან მათი პრობლემები. დაუმუშავებელი მიწები, უნდობლობა, კრედიტის ხელმიუწვდომლობა, ტექნიკისა და სასუქების სიძვირე. ჯერ-ჯერობით კოოპერატივსაც ეჭვის თვალით უყურებენ, მიუხედავად იმისა, რომ 50 ლარი შეაქვთ და 80-ს იღებენ. ყველაზე მთავარი მათ არ აქვთ **საკუთარი მწვანის რეალიზაციის პრობლემა**.

რატომაა დაუმუშავებელი ფართობები? 1 ჰა-ზე სიმინდის მოყვანა 1000 ლარი უჯდებათ, თუ კოოპერატივი მიიღებს გრძელვადიან კრედიტს, იყიდიან ტრაქტორს და გლეხების მიწას დაამუშავებენ. მათ ითხოვენ სამინისტროში დახმარება, ლიზინგით გამოყვანა, მაგრამ ვერ მიადწიეს.

სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის მეშვეობით ფერმერები „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში მარტიდან მიიღებენ შეღავათიან კრედიტებს.

1. უპროცენტო სასაქონლო კრედიტი მცირე ფერმერებისათვის; 2. საშუალო და დიდი ფერმერების შეღავათიანი კრედიტით უზრუნველყოფა; 3. სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაფინანსება.

მცირე ფერმერები მიიღებენ უპროცენტო სასაქონლო კრედიტს (განვადებას) საწარმოო

სეზონის დასაწყისში, სეზონის დასრულების შემდეგ გადაიხდიან და კრედიტის გაცემის მომენტისათვის დაფიქსირებულ საცალო ფასს დამატებითი პროცენტის დარიცხვის გარეშე. ამ კატეგორიისთვის სესხის ოდენობა 5000 ლარამდეა გათვალისწინებული.

პროგრამის ფარგლებში მსხვილი და საშუალო ფერმერების ხელშეწყობა განხორციელდება 7-8%-იანი კრედიტებით მათი უზრუნველყოფის გზით. ვისაც 1 წელზე ნაკლები ვადით ესაჭიროებათ 5000 ლარიდან 100.000 ლარამდე თანხა საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად, ამ ტიპის სესხებს მიიღებენ საშუალო და მსხვილი ფერმერები, რომლებიც არ არიან მცირე ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამის ბენეფიციარები.

დაფინანსდება სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რაც გულისხმობს მოსავლის აღებას შემდგომი, ნებისმიერი სახის პროდუქციაზე დამატებითი ღირებულების შემქმნელი ინფრასტრუქტურის (სასაწყობო, დამფასოებელი, სამაცივრე მეურნეობები და გადამამუშავებელი საწარმოები), ასევე სხვა ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტების (თანამედროვე ფერმები, სასათბურე მეურნეობები და სხვა), განვითარების ინიციატივების იაფი და გრძელვადიანი ფულადი რესურსით მხარდაჭერას. მიმდინარე წელს დაფინანსდება 60 საწარმო. მეწარმეთათვის საპროცენტო განაკვეთი ამ ტიპის სესხებზე იქნება დაახლოებით 3%,-ია, სესხის ზედა ზღვარი კი მილიონი ლარი იქნება.

ამ ეტაპზე სოფლის მეურნეობის სფეროში განსახდვრულია 700 მილიონამდე ლარის დახარჯვა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგაზაფხულო პროგრამა უკვე დაიწყო. გაიცემა კომბინირებული სასოფლო-სამეურნეო ბარათები. აღნიშნული ვაუჩერი 1 ჰა-ზე 510 ლარის ოდენობის თანხას ითვალისწინებს. მიწათმესაკუთრებს ნიადაგის ხვნა, ხნულის დადისკვა/გაფხვიერება და ამავდროულად 300 ლარის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის და ინვენტარის შეძენა შეეძლება.

ასევე დარიგდება მეორე ტიპის 100 ლარის ღირებულების ნომინალური სასოფლო-სამეურნეო ბარათები, რომელიც 0,25 ჰექტარზე მცირე ზომის მესაკუთრებისთვის არის გათვალისწინებული. ასევე, 1 ჰა-ზე 510 ლარის ღირებულების ბარათს მიიღებენ ის ფერმერები, რომლებიც შესაძლოა არ ფლობენ სახნავ მიწას, თუმცა 0,25 ჰა-დან 1,25 ჰა-მდე ფართობზე აქვთ მრავალწლიანი ნარგაობა, მაგალითად, როგორცაა ვაზი. 1,25-დან 5 ჰა-მდე სახნავი ფართობის, ან მხოლოდ მრავალწლიან ნარგაობას ფერმერები მიიღებენ 640 ლარის ღირებულების ნომინალური სასოფლო-სამეურნეო ბარათს, რომლითაც შეეძლება მხოლოდ შესაბამისი ღირებულების საქონლის და ინვენტარის შეძენა მომწოდებლისაგან.

სოფელში ამ პროგრამასაც ჯერ-ჯერობით უნდობლად ეკიდებიან. ხშირად მათ არასწორი ინფორმაცია აქვთ, ან კარგად ვერ ერკვევიან, თუმცა ხშირ შემთხვევაში მათ შესაბამისი ტრენინგებიც უტარდებათ. იციან, რომ შეიქმნება აგროსერვისები. ფიქრობენ, რომ უმჯობესია კოოპერატივს ჩააბარო და ისინი მოემსახურონ არა მარტო მეპაიეებს, არამედ მოელ სოფელს.

ხაზგასმით ავლნიშნავთ, რომ კოოპერატივის შემთხვევაში სრულყოფილი ხდება პროდუქციის რეალიზაცია, რაც გლეხს დღემდე უჭირდა წარმოებასთან ერთად. კოოპერატივის შემთხვევაში **დისტრიბუტორიც დაინტერესებულია** და გლეხიც. მას ადგილზე მიაკითხავს ტრანსპორტი და **წაიღებს პროდუქციას**.

თუკი ამუშავდება გადამამუშავებელი წარმოება იმერეთში, როგორც განვითარების გეგმაშია (საკონსერვო ქარხნები, სასათბურე მეურნეობები, რძის გადამამუშავებელი კომბინატები,

ჩაის ფაბრიკები), მაშინ კოოპერატივებიც უნდა შეიქმნას. გლეხი, რომელიც სოფლიდან მოდის ქალაქში 5-7 კგ. ყველის გასაყიდად, კოოპერატივის შემთხვევაში ადგილზე ჩააბარებს და კოოპერატივი 250-300 კგ-ის მოაგროვებს და თვითონ გაუკეთებს რეალიზაციას, ასევე რძეს, ხილს და სხვას და ჩააბარებს გადამამუშავებელ საწარმოებს.

როცა გლეხს კოოპერატივში, ფული დაერიცხება, დაინტერესდება, მოტივაცია გაუჩნდება, რომ მეტი პროდუქცია აწარმოოს, თუ 30 ლარს წაიღებს 50 ლარზე საშემოსავლო უნდა დაურიცხო, ეს არის პრობლემა და ეს უნდა მოიხსნას.

ჩვენი კვლევიდან ასევე დადგინდა, რომ განუსაზღვრელია საბანკო-საფინანსო სისტემის მნიშვნელობა სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის ყოველმხრივი განვითარებისათვის. ამ მიმართულებით დღეს, როგორც არასდროს, აუცილებელია სოფლისათვის მხარდაჭერა. გლეხური (ფერმერული) მეურნეობებისა და სხვა ფორმების საქმიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი მხარდაჭერა ექნება მათ სახელმწიფოსგან – განსაკუთრებით სამართლიანი, შეღავათიანი, დროული საკრედიტო უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს წარმოებული პროდუქციის შესყიდვა და რეალიზაცია, რისი გარანტიც სოფლად კოოპერატივები უნდა გახდეს, როგორც მოქნილი სიცოცხლისუნარიანი სისტემა.

პრობლემები, რომლებიც გააჩნიათ ფუნქციონირებად კოოპერატივებს (არ აქვთ საკმარისი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ფასების ზრდა, გლეხების უნდობლობა, დაბალპროცენტიანი კრედიტის არ არსებობა, პროდუქციის არაკონკურენტუნარიანობა, მაღალი დანახარჯები, ბუნებრივი რისკის საშიშროება, სერთიფიკატის აღების პრობლემა) უნდა შემცირდეს და სოფლად აუცილებლად უნდა განვითარდეს კოოპერატივები, რადგანაც მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ გლეხკაცის ფეხზე წამოდგომაში.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმა.
2. სოფლის მეურნეობის მინისტრის დ. კირვალიძის გამოსვლა კონფერენციაზე 6.02.13 წ.
3. პინ-ის – PEOPLE IN NEED – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის გახსნის ოფიციალური ცერემონია.
3. კოოპერატივ „დოვლათი“-ს მონაცემები.
4. ინტერნეტ-მასალები – ძიება „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები“.